

პროექტის მოკლე ანოტაცია

პროექტის სახელწოდება:	საქართველოს ბანკი - კორპორატიული კლიენტებისთვის საშუალო ზომის თანადაფინანსების მექანიზმის II ნაწილი - ენერჯო ეფექტურობის საკრედიტო ხაზი - მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის საკრედიტო ხაზი
ქვეყანა:	საქართველო
პროექტის საიდენტიფიკაციო ნომერი:	40845, 41107, 41208
დარგი:	ბანკების დაკრედიტება
სექტორი:	კერძო სექტორი
დირექტორთა საბჭოზე განხილვის თარიღი:	2010 წლის 20 ივლისი
სტატუსი:	დამტკიცებულია საბჭოს მიერ
პროექტის მოკლე ანოტაციის გამოქვეყნების თარიღი: პროექტის მოკლე ანოტაციის რედაქტირების თარიღი:	2010 წლის 29 ივლისი
პროექტის აღწერა და მიზნები:	<p>ევრობანკმა დაამტკიცა საქართველოს ბანკის დაფინანსების პაკეტი, რომელიც სამი ოპერაციისგან შედგება: 20 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის საშუალო ზომის თანადაფინანსების მექანიზმის II ნაწილი კორპორატიული კლიენტებისთვის; 10 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ენერჯო ეფექტურობის საკრედიტო ხაზი და 20 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსების საკრედიტო ხაზი.</p> <p>წინამდებარე პროექტი საქართველოს ბანკს დაეხმარება საკრედიტო პროგრამების შემუშავებაში მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ბიზნესის კონკრეტული სეგმენტების დასაკრედიტებლად, აუცილებელი გრძელვადიანი დაფინანსების უზრუნველსაყოფად კორპორატიული, მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის. .</p>
ეკონომიკის გარდაქმნის ეფექტი:	<p>ეკონომიკის გარდაქმნის ეფექტი ამ პროექტის ფარგლებში ძირითადად გამოიხატება საკრედიტო ოპერაციების გაფართოებით, კორპორატიული მმართველობისა და ბიზნესის წარმოების სტანდარტების დანერგვით, ასევე პარტნიორ დაწესებულებებისა და საწარმოებისადმი უნარ-ჩვევებისა და პოტენციალის გაზიარებით.</p> <p>საშუალო ზომის თანადაფინანსების, ასევე მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაკრედიტების მექანიზმებით ევრობანკი დაეხმარება საქართველოს ბანკს საკრედიტო პოტენციალის გაზრდაში და ფინანსური შუამავლობის განვითარებაში საქართველოს ბაზარზე. შემოთავაზებული კრედიტები გაზრდიან მცირე და საშუალო საწარმოების საბანკო დაკრედიტებას.</p>

ენერგო ეფექტურობის პროექტით დადასტურდება ინვესტიციების სარგებელი დაზოგილი ენერგიით საწარმოო ხარჯების შემცირების სახით და მოელი ქვეყნის ტერიტორიაზე სამრეწველო და საცხოვრებელი კომპლექსების ენერგო ეფექტურობის დაკრედიტების გაზრდით. ასევე ნაგარაუდევია, რომ პროექტი განაუთარებს ექსპერტულ პოტენციალს ენერგო ეფექტურობის საკითხებზე ბანკებს, კომპანიებსა და შინა მფურნეობებს შორის.

კლიენტი:	საქართველოს ბანკი არის საქართველოს წამყვანი ბანკი, რომელზეც ქვეყნის სრული საბაზრო აქტივების 33% მოდის. ის ირიცხება ლონდონის საფონდო ბირჟაზე.
ეგრობანკის დაფინანსება:	50 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის პაკეტი შედგება საშუალო ზომის თანადაფინანსების მექანიზმისგან – 20 მილიონი აშშ დოლარი, ენერგო ეფექტურობის საკრედიტო ხაზისგან – 10 მილიონი აშშ დოლარი და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საკრედიტო ხაზისგან – 20 მილიონი აშშ დოლარი.
პროექტის ჯამური ხარჯები:	50 მილიონი აშშ დოლარი
ეკოლოგიური და სოციალური კატეგორიზაცია, გავლენა და რეაგირება:	<p>პროექტს მიენიჭა FI (2008) კატეგორია. საქართველოს ბანკს ოფიციალურად დამტკიცებული აქვს ეკოლოგიური და სოციალური პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მოიცავენ გარემოსდაცვით, სოციალურ, უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საკითხებს. საქართველოს ბანკის წარმომადგენლებს მონაწილეობა აქვთ მიღებული ეგრობანკის მიერ 2006 წელს გამართულ ტრენინგებში ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვის საკითხებზე და ბანკმა ასევე დანიშნა გარემოსდაცვითი საკითხების კოორდინატორი ეკოლოგიური და სოციალური რისკის მართვის კოორდინაციისთვის. საქართველოს ბანკის მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ბანკი ახდენს ეკოლოგიური და სოციალური რისკის მართვის პროცედურების გამოყენებას მის ნებისმიერ გარიგებაზე, რომელიც 50,000 დოლარით ფინანსდება ეგრობანკის ან საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საკრედიტო ხაზებიდან. პროცედურები გამოიყენება ასევე მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე ოპერაციებზე, რომლებიც ბანკის საკუთარი რესურსებიდან ფინანსდება.</p> <p>საქართველოს ბანკს გააჩნია აკრძალული პროექტების ნუსხა, რომელსაც იყენებს ოპერაციების გარემოსდაცვითი რისკის შესაფასებლად და კატეგორიების მისანიჭებლად. ის იყენებს დაკანონებულ ჩამონათვალს გარემოსდაცვითი რისკების გასაანალიზებლად.</p> <p>საქართველოს ბანკს გააჩნია საკადრო რესურსების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ხელფასების (შრომის ანაზღაურების დონე, ჩვეულებრივი და შესაათობრივი), დამატებითი დროის, სამუშაო საათების, დამატებითი სარგებლის, თანამშრომელთა მიერ აქტუალური საკითხების გასაჩივრების მექანიზმების, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, თავისუფალი მუშაობის რეჟიმის და სამსახურის/პირადი ცხოვრების დაბალანსების საკითხებს.</p> <p>საქართველოს ბანკს მოუწევს არსებული პროცედურების გადახედვა ახალი სამოქმედო მოთხოვნების კონტექსტში, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი გამოყენება კომერციული დაკრედიტების მოქმედებაზე. ასევე, საქართველოს ბანკმა ეგრობანკში უნდა წარმოადგინოს ყოველწლიური ეკოლოგიური ანგარიში გარემოსდაცვითი</p>

	და სოციალური პროცედურების და ევრობანკის მე-2 და მე-9 სამოქმედო მოთხოვნების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე.
ტექნიკური თანამშრომლობა:	არ არის გათვალისწინებული.
კომპანიის საკონტაქტო პირი:	მაკა ეკიზაშვილი, ინვესტორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი საქართველოს ბანკი ტელ: +995 32 444 256. ინტერნეტის გვერდი: www.bog.ge/ir .
ბიზნესის შესაძლებლობები:	ბიზნესი შესაძლებლობათა ან შესყიდვების საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.
ზოგადი ინფორმაცია:	ევრობანკის პროექტების თაობაზე, შესყიდვების საკითხების გარდა, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით: ტელ: +44 20 7338 7168; ფაქსი: +44 20 7338 7380 ელ.ფოსტა: projectenquiries@ebrd.com
საჯარო ინფორმაციის პოლიტიკა	საჯარო ინფორმაციის პოლიტიკაში ევრობანკს ჩამოყალიბებული აქვს ინფორმაცია აქციონრებისა და დაინტერესებული წრეებისთვის და ის ამგვარად ახდენს მისი სტრატეგიის, პოლიტიკისა და საქმიანობის შესახებ უკეთესი შემეცნებისა და გაგების უზრუნველყოფას. საჯარო ინფორმაციის პოლიტიკას შეგიძლიათ ინტერნეტში გაეცნოთ შემდეგ ბმულზე: http://www.ebrd.com/about/policies/pip/index.htm
პროექტის გასაჩივრების მექანიზმი	ევრობანკს გააჩნია პროექტის გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც იძლევა ერთი ან მეტი ადამიანის ან ორგანიზაციის დავების დამოუკიდებელი განხილვის საშუალებას ევრობანკის მიერ დაფინანსებული პროექტების თაობაზე, რომლებიც იწვევენ ან შესაძლოა გამოიწვიონ გარკვეული ზიანი. პროექტის გასაჩივრების მექანიზმის მმართველი წესები და პროცედურები შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში შემდეგ ბმულზე: http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/pcm.pdf , რუსული ვერსია განთავსებულია ინტერნეტში შემდეგ ბმულზე: http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/PCMRulesRussian.pdf პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში ნებისმიერი განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს ევრობანკის ფინანსური რესურსის გამოყოფიდან მაქსიმუმ 12 თვის განმავლობაში. დახმარებისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმზე პასუხისმგებელ თანამშრომელს (ელ ფოსტის მისამართია pcm@ebrd.com) ან ევრობანკის ადგილობრივი წარმომადგენლობის შესაბამის თანამშრომელს თუ დარწმუნებული არ ხართ გასაჩივრების ვადებზე.